თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2023 წლის 31 მარტის სხდომის

# ო ქ მ ი N 2

2023 წლის 31 მარტს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ვახტანგ გოილაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ალექსანდრე დაუშვილი, ელდარ ბუბულაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ბოლო ათი წლის მანძილზე გამოცემული პუბლიკაციების გამოფენა;
2. თანამშრომელთა მორიგეობის განრიგი;
3. მიმდინარე საკითხები.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

*1. ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ბოლო ათი წლის მანძილზე გამოცემული პუბლიკაციების გამოფენა.*

**ლავრენტი ჯანიაშვილმა** სამეცნიერო საბჭოს აცნობა, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო ჟურნალ „ქრონოსის“ განაცხადი სამეცნიერო ჟურნალების საერთაშორისო ბაზაში - ERIH PLUS, წევრობისთვის შეფასდა დადებითად და 2023 წლის მარტიდან „ქრონოსი“ ჩართულია აღნიშნულ - „ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სამეცნიერო ჟურნალების ევროპულ ბაზაში.“

მიმდინარე წელს, უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ბოლო ათი წლის მანძილზე გამოცემული პუბლიკაციების (მონოგრაფიები, კრებულები, სახელმძღვანელოები) გამოფენის მოწყობა. სასურველია, განყოფილებების ხელმძღვანელებმა გაუწიონ ორგანიზება ნაშრომების მოძიებასა და საგამოფენოდ მომზადებას.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ალექსანდრე დაუშვილმა, ვაჟა კიკნაძემ, ლიანა ბითაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა. საბჭოს წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი ინიციატივა გამოფენის ჩატარების შესახებ.

მოისმინეს:

*2. თანამშრომელთა მორიგეობის განრიგი.*

**გიორგი ჭეიშვილი:** როგორც მოგეხსენებათ, სამეცნიერო საბჭომ 2021 წლის 12 მარტის სხდომაზე (ოქმი N2) მიიღო დადგენილება, სამეცნიერო პერსონალის შემოქმედებითი სამეცნიერო საქმიანობისა და ანგარიშგებისათვის და არასამეცნიერო პერსონალის სამსახურში გამოცხადების განრიგის (მინიმალური სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში) შესახებ, რომლის მიხედვითაც კვირაში 8 საათი არის ის მინიმალური დრო, რაც სამეცნიერო პერსონალმა უნდა გაატაროს ინსტიტუტში. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მიერ თითოეული თანამშრომლისათვის (მათთან შეთანხმებით) შემუშავდა მორიგეობის განრიგი, რომელიც შეთანხმებული იქნა დირექციასთან. გამგეებს გთხოვთ, შეიტანოთ სასურველი ცვლილებები და წარმოადგინოთ თქვენი განყოფილებების განახლებული განრიგები.

გაიმართა მსჯელობა **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ალექსანდრე დაუშვილმა, ვაჟა კიკნაძემ, ლიანა ბითაძემ, ელდარ ბუბულაშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ლევან გორდეზიანმა.

მოისმინეს:

*3. მიმდინარე საკითხები.*

**ლავრენტი ჯანიაშვილმა** წამოაყენა წინადადება აღდგეს და გაფართოებული ფორმატით ჩატარდეს განყოფილებების სემინარები; გაგრძელდეს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარი „საინსტიტუტო საუბრები“ და ეთხოვოს თანამშრომლებს, სურვილის შემთხვევაში, წარმოადგინონ მოხსენებები.

ასევე, მოგახსენებთ, რომ ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებამ, სამეცნიერო საბჭოს წარმოუდგინა რეკომენდაცია ირინა არაბიძის ნაშრომზე - „საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები (XX საუკუნე),“ ინსტიტუტის გრიფის მისანიჭებლად (განყოფილების სხდომის ოქმი N4, 27.03.2023).

აღნიშნულ საკითხებზე გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, ლიანა ბითაძემ, ვახტანგ გოილაძემ, გიორგი ჭეიშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა, ელდარ ბუბულაშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა, ლევან გორდეზიანმა,

ეკა კვაჭანტირაძემ, როლანდ თოფჩიშვილმა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სხდომის წარმოდგენილი ოქმის საფუძველზე, ირინა არაბიძის ნაშრომს მიენიჭოს ინსტიტუტის გრიფი.

სხდომამ დაადგინა:

1. ცნობად იქნას მიღებული ინფორმაცია მიმდინარე წელს ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ბოლო ათი წლის მანძილზე გამოცემული პუბლიკაციების გამოფენის მოწყობის შესახებ.
2. ირინა არაბიძის ნაშრომს: *„საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები (XX საუკუნე),“* მიენიჭოს ინსტიტუტის გრიფი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

31. 03. 2023

დანართი 1

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 31 მარტის სხდომას ესწრებოდნენ მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ბითაძე
- გიორგი ქავთარაძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოქრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სხდომის

ოქმი №4

2023 წლის 27 მარტს ჩატარდა ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სხდომა.

ესწრებოდნენ: განყოფილების ხელმძღვანელი ავთანდილ სონღულაშვილი; მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: ელდარ ბუბულაშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ვაჟა კიკნაძე; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: ლელა მიქიაშვილი, ქეთევან მანია, არჩილ კოხრეიძე; მეცნიერი თანამშრომლები: ირინა არაბიძე, შორენა მურუსიძე, ნატო სონღულაშვილი.

დღის წესრიგი:

ირინა არაბიძის ნაშრომის – საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები (XX საუკუნე) – განხილვა ინსტიტუტის გრიფის მისანიჭებლად სამეცნიერო საბჭოზე წარსადგენად.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი,

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი ხათუნა ქოქრაშვილი

ისტორიის დოქტორი ირმა კვაშილავა.

მოისმინეს: ნაშრომის რედაქტორის ავთანდილ სონღულაშვილის აზრი: კრებულში თავმოყრილი, გადამუშავებული და შევსებულია ავტორისაგან 2004-2020 წწ. სხვადასხვა კრებულში დაბეჭდილი სტატიები, რომლებშიც ასახულია რუსეთის იმპერიისა და ეკლესიის ჩაგვრისაგან საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების (1917 წ.) ვითარება და მისი ბრძოლა კანონიერი უფლებების განსახორციელებლად.

1917 წლის თებერვლის რევოლუციით მონარქიის დამხობის შემდეგ ქართველმა ავტოკეფალისტებმა ეკლესიის დამოუკიდებლობა 12(25) მარტს აღდგენილად გამოაცხადეს. მათ ისარგებლეს იმ ხელისუფლების დამხობით, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონების დარღვევით გააუქმა და მისი აღდგენის ყოველგვარ მცდელობას ეწინააღმდეგებოდა.

ეკლესიას სათავეში ჩაუდგა დროებითი მმართველობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ლეონიდის (ოქროპირიძე) მეთაურობით. დროებით მმართველობას (1917 წ. მარტ-სექტემბერი) ეკლესიის უფლებათა პრაქტიკულად განხორციელებისთვის უნდა მიეღწია, საეკლესიო კრების მოწვევა, საჭეთმპყრობლისა და საკათოლიკოსო საბჭოს არჩევა უნდა უზრუნველეყო.

რუსეთის ხელისუფლების სათავეში რევოლუციის გზით მოსულმა დროებითმა მთავრობამ რწმენის, აქედან გამომდინარე, ეკლესიური თვითგამორკვევის თავისუფლება გამოაცხადა, ეროვნული საკითხის გადაჭრა კი დამფუძნებელ კრებამდე გადადო. ის ცდილობდა, სახელმწიფოში დემოკრატიული უფლებების განხორციელების განწყობა შეექმნა, მაგრამ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიის რღვევა არ დაეშვა. სწორედ ამ ურღვევობისთვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას მთავრობა საშიშროებად მიიჩნევდა. ის საკითხს პოლიტიკური კუთხით განიხილავდა, რადგან საეკლესიო კანონების თანახმად დამოუკიდებელი ეკლესია საკუთარი საზღვრებით უნდა შემოფარგლულიყო. ეს კი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

სტატიებში ასახულია ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომი"), პეტროგრადის დროებითი მთავრობისა და მისი წარმომადგენლის – საქართველოს საეკლესიო საქმეთა გადამწყვეტ კომისარ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ბენეშევიჩის დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელებისადმი.

გამოტანილია დასკვნა, რომ „ოზაკომი" საკითხისადმი გაცილებით მეტ ლოიალობას იჩენდა, ვიდრე ბენეშევიჩი, რომელიც მთავრობის კომისრის მისიით საქართველოში ჩამოსვლამდე პეტროგრადულ ქართველთა შორის „კარგი მიმართულების ადამიანად" იყო ცნობილი.

სტატიები ასევე ასახავენ ქართველი საზოგადოების – ერისა და ბერის ერთიანობას ეკლესიისა და ქვეყნისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის წარმატებისათვის; რუსეთის ეკლესიის წარმომადგენელთა მტრობას ახლად აღდგენილი ეკლესიისადმი; საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის აღდგენას აფხაზეთში; მსოფლიო საპატრიარქოს დამოკიდებულებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი; საბჭოთა სახელმწიფოსა და რუსეთის ეკლესიის ორი ნაწილის (პატრიარქ ტიხონისა და „განახლების მოძრაობის") მხრიდან საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოღვაწეობას საქართველოს ეკლესიის ძველთაგან არსებული ავტოკეფალიის მსოფლიო მართლმადიდებელი სამყაროსაგან აღიარებისათვის, რაც 1990 წელს წარმატებით დაგვირგვინდა.

მრავალი საკითხი ახალი წყაროების დამოწმებით ახლებურადაა გაშუქებული; დაფიქსირებულია ზოგიერთი ქართველი მოღვაწისა თუ ორგანიზაციის მონაწილეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა განხორციელების საკითხში, რაც აღნიშნულ სტატიებამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო.

დასკვნა: ნაშრომის წარდგენა შესაძლებელია სამეცნიერო საბჭოზე ინსტიტუტის გრიფის მისანიჭებლად.

აზრი გამოთქვეს: ელდარ ბუბულაშვილმა, ლელა მიქიაშვილმა მხარი დაუჭირეს რედაქტორის დასკვნას.

დაადგინეს: ნაშრომს მიეცეს რეკომენდაცია, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე წარსადგენად.

სხდომის თავმჯდომარე:
ი. შ. დ.

ავთანდილ სონღულაშვილი

განყოფილების მდივანი:

შორენა მურუსიძე